№ 3. თბილისი. 1942 წ. კვირა, 8 თებერვალი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

# ნიანგი



ნახ. ს. ნადარეიშვილისა

## ავტო-დასაფლავება

30 იანვარს წარმოთქმულ მორიგ სიტყვაში ჰიტლერმა ველარ შესძლო დაემალა გერმანელების დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. „... ჰიტლერის ეს სიტყვა, — სწერს ამხ. ზასლავსკი, — წარმოადგენს ავტონეკროლოგს... თითქოს დგას ჰიტლერი — ჰიტლერის სამარესთან და დასცქერის რა ნაცნობ სახეს, ცრემლმორეული ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შესანიშნავი კაცი იყო ადოლფ ჰიტლერი“.

**ჰიტლერი:** (კუბოში ჩასვენებულ ჰიტლერს) — მართალია, ელვისებურმა ომმა, რომლის დამთავრებასაც შარშან აპირებდი, წელს თვითონ დაგამთავრა, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, ჩვენც შენი გზით ვივლით.

# მეცხრე და უკანასკნელი

გაელვიძა. მღვრიე თვალები კედლის სარკეს მიაპყრო.

— აღდგომის დროა, — გაიფიქრა მან. ცოტა ხნით კიდევ ფიქრებს მიეცა. წინად, ამ დროს, მის საწოლ ოთახში მზის სხივები შემოიჭრებოდნენ, ახლა კი ელექტრო შუქით იყო განათებული. და ეს იმიტომ, რომ ახლანდელი მისი ბინა მიწის ქვეშაა მოქცეული, რათა „ქვეყნის მპყრობელის“ სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნას საბჭოთა კავშირ-ინგლისის ყუმბარმშენების თავდასხმებისაგან.

შუბლი შეიკრა. გაბერილი ცხვირის ნესტოები ნერვიულად მოძრაობდნენ. თვალებს გიჟივით აბრიალებდა.

— სისულელეა! დაიღრიალა მან. შეიძლება თავისთავთან სიმართლე ითქვას. რა დროს სიტყვის თქმაა? ვის რათ უნდა ჩემი სიტყვა? სიტყვა კი არა, ქვეყანა პურს მთხოვს და მშვიდობიან ცხოვრებას. — მე შემეძლო დღევანდელ საზეიმო კრებას დუმილით შევხვედროდი, მაგრამ, არა, — ეს შეუძლებელია, მტრები გაიხარებენ, — სხვაგვარად ახსნიან.

და მან გადაწყვიტა ქვეყნად მისი გაბატონების მეცხრე წლისთავის აღსანიშნავად მოწვეულ ფაშისტ მეთაურთა კრებაზე სიტყვით გამოსულიყო... შუბლზე ორიგე ხელი დაიდვა.

სათქმელიც რომ არაფერი მაქვს. ფიქრობდა იგი. ხომ შეიძლება ვინმე თავზეხელაღებული შემეკითხოს:

— გვაცნობეთ რა მოხდა თქვენი „ელვისებური ომის“ შედეგათ?

— გვითხარით, როდის შევალთ მოსკოვსა და ლენინგრადში?

მწარედ გაიღიმა. — ვინ გამიბედავს ასეთი სულელური კითხვის მოცემას? ვის ექნება თავი მობეზრებული?

წამოდგა, ოთახში ტლანქად გაიარ-გამოიარა, კედლის სარკის წინ უშნო მსხვილი ფეხებით გაიჯგიმა, ორატორის პოზა მიიღო, მარჯვენა ხელი ჰაერში აიქნია და პრანჭვაგრეხით დაიწყო:

„იცით ვინ იყო ის, ვინც ამ ცხრა წლის წინათ დაღუპვის პირად მყოფ ჩვენს ქვეყანას მოევლინა, როგორც ზეადამიანი, ღვთაებრივი ძალის მქონე, არიული სისხლის პატრონი?

**ეს გახლდით მე!**

იცით ვინ იყო ის, ვინც ისტორიის ჩარხი თავისკენ მოაბრუნა და დაიპყრო ევროპის სახელმწიფოები?

**ეს გახლდით მე.**

იცით ვინ იყო ის, ვინც 1934 წლ. 30 ივნისს „გენერალური წმენდა“ ჩაატარა ფაშისტ მეთაურთა შორის და ათასამდე მათი სული საიქიოსკენ გაისტუმრა?

**ეს გახლდით მე.**

იცით ვინ იყო ის, ვინც ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროს შეადგინა მსოფლიოს სურათი და შეიმუშავა მსოფლმხედველობა?

**ეს გახლდით მე.** და ასე დაუსრულებლივ დარბაზში გაისმოდა, „ეს გახლდით მე“!

მას მხოლოდ არაფერი უთქვამს მისი წარსული ცხოვრების შავბნელი ამბების შესახებ, თუნდაც იმ პერიოდისა, როცა იგი ევენის [illegible] საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, „საცა [illegible] არ იწუხებდა, ფიქრობდა რაღაც, სასწაულმომქმედ საშუალებებზე ჯადოქრული ძალის მქონე თმის პომადაზე...“ ასევე თითქმის არაფერი უთქვამს მას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის შესახებ, რადგან ამ თემაზე ლაპარაკის დროს ყელში რაღაც გაეჩხირა, ხველა აუტყდა და ხმა ჩაეხლიჩა. მხოლოდ რამდენიმე მისი ფრაზა გარკვევით გაისმოდა: „მე შემიძლია მხოლოდ ერთ რამეში დაგარწმუნოთ“... იგი შეჩერდა. „აქ პაუზა შეუძლებელია“, გაიფიქრა მან, — რადგან შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მე ვარწმუნებ მას ჩვენს გამარჯვებაში“.

მან განაგრძო: „თუ როგორ დამთავრდება ეს წელი მე არ ვიცი. დამთავრდება ომი მიმდინარე წელს, არც ეს ვიცი!“

სიტყვა დაასრულა. სარკის წინ რეპეტიცია ჩინებულად ჩატარდა. მას წარმოუდგა წინ ფეხზე ამდგარი მთელი დარბაზი, ოვაცია, ტაშის გრიალი და შეძახილი — ჰაილ ფიურერ! შემოტრიალდა და მისაღებ ოთახში გავიდა, სადაც მას მინისტრები ელოდებოდნენ. ყველაზე უმალ მასთან მიიჭრა თავისი მრუდე ფეხებით იოზეფ გებელსი, მოწიწებით სალამი მისცა და მოკრძალებით მოახსენა: — ქვეყნის მპყრობელო, მუსოლინი გილოცავთ დღევანდელ დღეს.

— მუსოლინი? ჰა, ჰა, ჰა! ბენიტო მუსოლინი? დუჩე?.. დღევანდელი იულიუს კეისარი? უგემურად ხითხითებდა ფიურერი.

— იუპკინ! ბრძანების კილოთი მიმართა ფიურერმა ჰებელსს.

— მიბრძანეთ, ქვეყნის მპყრობელო! — ცახცახით უპასუხა მას გებელსმა და ცერებზე შესდგა, რათა ცოტა სიმაღლე მომატებოდა.

— გადაეცი იმ სულელ მუსოლინს, რომ ენას კბილები დააბჯინოს, თორემ ჩემ თავს ვფიცავარ, არც ენა შერჩება და არც კბილები. გავიგე, რაღაც მოუჩმახავს, თითქოს ომის რაობის შესახებ, მისი აზრი უფრო სწორი იყოს, ვინემ ჩემი. არ ესმის იმ უბედურს, რომ მე ვთქვი, „მე მიყვარს ბავშვი და ომი! ბავშვები უნდა იზრდებოდენ ომისათვის“.

— დიდებულია! გენიალურია! შესანიშნავია! — ჩიფჩიფებდნენ მინისტრები.

— მან კი რა სთქვა, რა წამოროშა? ის, რაც მე უნდა მეთქვა! „ომი ღვთაებრივი წარმოშობის საქმეა. ომი მამაკაცისათვის იგივეა, რაც დედობა ქალისათვის“.

— სისულელეა! საძაგლობაა! უაზრობაა! — გაისმა მინისტრებს შორის. ფიურერმა მრისხანედ გადახედა მათ, მაგრამ მაინც თავი შეიკავა და მათთან ერთად გასწია ფაშისტ მეთაურთა კრებისაკენ, რათა სიტყვით გამოსულიყო მათ წინაშე ქვეყნად მისი ბატონობის მეცხრე და, ჩვენი ღრმა რწმენით, უკანასკნელი წლისთავის აღსანიშნავად.

**უუმბარა**

# ფაშისტი ოფიცრები გრძნობენ

„აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევიდან თავდაცვაზე გადასვლა ადვილი არ იყო“.
ჰიტლერის სიტყვიდან.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა



— ბატონო გენერალო, ჩვენი ჯარი გარბის.
— მაშ როგორ გნებავთ? — ბრძანებაა — შეტევიდან თავდაცვაზე გადავიდეთ.

# მეტამორფოზა

ნახ. დონისა



I

ოთხი ფეხით დადიოდა
არიელთა წინაპარი,
ტანზე ჩაცმა არ იცოდა,
დარი იყო თუ ავდარი.



II

ჟამთა ცვალში მათი მოდგმა
თუმც ორ ფეხზე დადგა მარა,
ვერაგ მხეცის ინსტიქტები
ბოროტ გულში ვერ დამალა.



III

ის საბჭოეთს თავს დაესხა
დაემუქრა თავხედ კვეხნით,
მაგრამ ბედმა უმტყუნა და —
უკან გარბის ცალი ფეხით.

# მუქთი მასაჟი

გებელსმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ეხება რა [illegible] გერმანელი ხალხის სულიერად დაცემას, სხვათა შორის წერს:

„ამ პერიოდმა ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ხალხს. თუ გერმანელ ჯარისკაცთა მიერ ომამდე გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებს ავიღებთ და ახლახან გადაღებულ ფოტოგრაფიულ სურათებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელ დროს მათს სახეს ღრმა ნაოჭები ემჩნევა“.

გაზეთებიდან

ზის გებელსი მოწყენილი
და ჭმუნვის ალს ველარ იქრობს,
ხან ბორგავს და ხან ქვავდება
და სულ ფიქრობს, ფიქრობს, ფიქრობს.

„დღეს მესამე იმპერიას,
ამ უმძიმეს ომის გარდა,
სხვა, ახალი თავსატეხი,
ხათაბალა დაემართა:

არიელთა უძლევ ლაშქრის
ჯარისკაცს, თუ ოფიცერსა—
ვინც შეხედავს გაიოცებს
მათი სახის იერფერსა,

მოღაღადე წითელ ლოყებს,
წვეტ ნიკაპს და ჩაფსკვნილ კისერს
თქვენი ჭირი წაუღია,
შეუცვლია რაღაც მიზეზს.

კიდევ მეტიც!—მწყაზარ შუბლზე
ყველას დაღი დასჩენია, —
ჩვიდმეტი წლის ჭაბუკსაც კი
ნაოჭები გასჩენია.

კაცმა რომ თქვას, ეს ხომ ერთობ
სამწუხარო არის საქმე...
უეჭველად ზომა რამე
გამონახო უნდა აქ მე.

წამალია აწ საჭირო
რომ არიელ მხედრის შუბლი
კვლავ გასწორდეს ნაოჭისგან
და არ იყოს მონაღრუბლი“.

* *

ამ საკითხზე მყის გებელსთან
ექიმების შესდგა კრება,
რომელზედაც ბატონ მინისტრს
მოახსენეს განმარტება:

— შუბლზე ნაოჭის გაჩენა,
ვატყობთ, ჭავის ბრალიაო;
და ფიზიკურ მეთოდს გარდა,
ძნელი სამკურნალიაო.

და რადგან გვსურს, ნაოჭები
მოვსპოთ ლაშქრის მასაჟით, —
მთელ არმიას ფაშისტურსა
დასჭირდება მასაჟიო“...

გებელსს სახე გაუნათლა
ბრძნულ თათბირის ამ შედეგმა
და იმავ დღეს, მან „ფიურერს“
წარუდგინა ვრცელი გეგმა.

* *

მაგრამ მამაც წითელ ჯარსაც
თვისი გეგმა ჰქონდა მაშინ
და, მით, „მცირე“ კორექტივი
შეიტანა მათს გეგმაში:

„ფიურერს“ და ჯუჯა გებელსს —
სულ ხატები დაუფეთა
და ფაშისტთა „უძლევ“ ლაშქარს
მასაჟი — თვით გაუკეთა.

ფარსადანი

# ი ს რ ე ბ ი

## იყეფოს!..

იმ დროს, როდესაც ჰიტლერი და გებელსი ქვეყანას ყურებს უჭედავს ფაშისტური არმიების „გეგმიანად“ უკან დახევის გარშემო ლაყბობით, ბულგარული პრესა ხმაშეწყობილად „გამღერის“ გერმანელების მიერ „მოსკოვზე შეტევის“ შესახებ.

გაზეთებიდან

არის ანდაზა ერთი,
მხურს გავიხსენო ახლა:
სამ დღეს იყეფა თურმე
შეშინებულმა ძაღლმა.

და ბულგარეთის პრესაც
დღეს რომ ჰყეფს ფაშისტურად.
ჩვენ საუცხოოდ გვესმის
ასე იქცევა თუ რად?

ჰიმლერის სახრემ როცა
მას შეუწითლა კეფა,
შემდეგ დაიწყო სწორედ
ასე ერთგულად ყეფა.

ყეფს, როგორც მხდალი ძაღლი
არც იცის თუ რას როშავს;
იყეფოს!.. როშვა მისი
არავის ულირს გროშად.

## უებარი საშუალება

გერმანელი ჯარისკაცი მაიერი ასმეთაურმა ათი დღით დააპატიმრა იმის გამო, რომ მან შინ გასაგზავნ წერილში არანოყიერად მოიხსენია „მიხაკისფერი თხლე, რომელსაც ყავას უწოდებენ“.

გაზეთებიდან

ჯარს შემოაკლდა პური,
გასუსხიანდა ჭავა
და მაიერის გულშიც
იმედი აღარ ჰყვავა

ბარათს წერს.., მწარედ მოთქვამს,
ვერ უძლებს შიმშილს, ზამთარს
მთხლის ყავაც ველარ აცხრობს
მჭვალს, გვერდის წკნელში გამდგარს.

ოფიცერმა მყისვე
წერილი დააკავა,
რომ მაიერის გულში
განოყიერდეს ყავა.

მა—ნი

## გამოთხოვება

ნახ. დ. რიონელისა



**გერმანელი მოქალაქე: — მშვიდობით ჩემო დაბამბულო ფარაჯავ! დღეის შემდეგ ჩვენ ველარ ვნახავთ ერთმანეთს: ან შენ წაგიღებენ ჯარის ბანაკში და ან მე წამიყვანებენ საკონცენტრაციო ბანაკში...**

## შესრულებული ინსტრუქცია

გერმანიის სარდლობამ ფრონტზე დააგზავნა ინსტრუქციები, სადაც ჯარისკაცებს ურჩევენ ჯანმრთელობისათვის იარონ ფეხშიშველებმა, იძინონ ცივ ბინებში და სხვ.

გაზეთებიდან

გერმანელ ჯარისკაცებსა
დაუმშვიდეს იმით გული,
რომ მათ ფრონტზე გაუგზავნეს
ინსტრუქცია „დიდებული"

შიგ ეწერა: ყინვამ რომ არ
გაგითოშოთ გმირებს — გული,
დაიცავით ინსტრუქციის
დარიგება მეტად ბრძნული.

შიგ ურჩევდნენ ჯარისკაცებს:
ევლოთ თოვლზე ფეხშიშვლებს,
საძინებლად იყენებდნენ
თეთრად გაშლილ მინდორ-ველებს.

ცივი წყალით ტანს იბანდნენ,
ყინვით მკერდს და სახე ხელებს,
უყოყმანოდ გადასცურდნენ
შმაგ მდინარეს განაზელებს.

როცა იგი წაიკითხეს
თქვეს: ეს უკვე სრულდებაო
და ცოცხალი ჩვენგან შინ რომ
ორიც ვერ დაბრუნდებაო.

**დ. ზგიაძაური**

## „გულითადი მეგობარი"

„საბერძნეთის ნავთსაყუდ პირეის მახლობლად გერმანელების თვითმფრინავმა ჩასძირა იტალიის გემი.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



**— სინიორ კაპიტანო, ჩვენი მოკავშირე მეგობრული ჰიდროპლანი მოფრინავს, ავწიოთ მისასალმებელი დროშები?**

**— არა, განგაში გამოაცხადეთ.**

## ისტერიული ტრაბახი

„მიმდინარე წლის 30 იანვარს, ჰიტლერი, ბერლინში გამოვიდა ისტერიული სიტყვით. მან აღიარა გერმანელთა დამარცხება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე... დაემუქრა რეპრესიებით და სიკვდილით დასჯითაც კი იმათ, ვინც თბილ ნივთებს არ ჩააბარებს ჯარისკაცებს".

გაზეთებიდან

ისტერიული ტრაბახით
ჰიტლერი არის ცნობილი,
მას შეედრება პარტიდინ
ჰებელსი მისი ძმობილი.

მათ რაც გინდ ჭორი მოჩმახონ
ჩვენთვის არ გასაკვირია. —
სიცრუის ებლაუჭება
ფაშიზმი განწირია.

„ფიურერს" საქმე წაუხდა
წითელ არმიის რისხვით,
მაისაც ოცდაათ იანვარს
ის გამოვიდა სიტყვითა.

კვალად წარუდგა ქვეყანას
შერცხვენილ თავით, ნაბახით.
თავის ჩაცენილ მხეცობას
აღიარებდა ტრაბახით:

— რუსეთში თუმცა ვმარცხდებით
საქმე ვქმენით ჩვენ საქებიო, —
სადაც შევძელით გადავწვით
სოფლები, ქალაქებიო.

ამიტომ არის ვუცხადებ
მე ჩემს თავს ნდობას სრულსაო,
ჩემს ყურ გერმანელს, უცილოდ
წამსვე ამოვხდი სულსაო.

კვლავ სთქვა: „სამხედრო დიდებით
მე არ ვარ განატაცეო", —
მაგრამ ჩემს გარდა გერმანეთს
არ ყავს სასაცილო კაციო.

**უირიმელი**

## გეგმის თანახმად

იუგოსლავიაში, ... ფრონტზე პარტიზანებმა ... იტალიის ჯარისკაცები. უკანასკნელებმა 114 კაცი დაკარგეს მოკლულთა სახით და გაიქცნენ.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა



**— 114 ჯარისკაცი დავკარგეთ და გეგმის თანახმად უკან დავიხიეთ.**

**— რა გეგმა, რას ამბობ! როდის მოგაწოდეთ! გეგმა ვისი იყო?**

**— პარტიზანების.**

## საბრძოლო შაირები

1.

არასოდეს არ გახმება
წყალთა შინა ხეთა ძირი, —
არასდროს არ გაიხარებს
არიელთა შავი პირი.

2.

არ მოხდება, რომ პრიპინამ
არწივისა დასდოს კვერცხი,
არასდროს არ გარდაიქმნება
კაცად ფაშისტური მხეცი.

3

რა ყვავი ვარცსა იშოვის
თავი ბულბული გონია,
თუმც ბულბულობა მისი კი,
არავის გაუგონია.

ფაშისტ ყვავებსაც ევროპა
დღეს თუ გონიათ თავისი,
დაკარგავენ თვის ძველ ბუნაგსაც,
საწინდარი გვაქვს ამისი.

**სანდრო**

## ახალი ქალვაჟიანიდან

— გოგოვ ეგ შენი თვალები
გულს მედება ალივითა,
— გასწი, თორემ გარბენინებ
ფაშისტ გენერალივითა.

— გოგოვ, ვფიცავ, შენზე ფიქრი
გულში აღარ მეტევა,
— ჩემზე სულსაც არ მოქმედობს
ფსიქიური შეტევა.

— შენი თავი დედაშენსა
უნდა ცსთხოვო, გენაცვალე...
— ჰიტლერივით დამარცხდები,
გაბრუნდები უკან მალე.

— როგორ მიყვარს, გენაცვალე,
მტრედივით რომ ღუღუნებო,
— მოშლილ „მესსერშმიდტებივით"
რა ცუდ ხმაზე გუგუნებო.

**კ. გოგიაშვილი**

## ადოლფ კრუმცის „მხატვრული" თავგადასავალი

„ფრონტის კლინის უბანზე ტყვედ წამოყვანილ ეფრეიტორ ადოლფ კრუმცს აღმოაჩნდა გამზადებული წერილები, რომლების გაგზავნაც ვერ მოესწრო. კრუმცი აღმოჩნდა პროფესიით მხატვარი და გამოცდილი მოროდიორი. კრუმცი სწერდა თავის ცოლს, რომ იგი მოსკოვში აპირებს დასავლეთის მხატვრის მუზეუმის დირექტორობას და აღუთქვამდა როგორც საკუთარი ნახატების, ისე ნაძარცვი სურათების გაგზავნას სახლში, ... გალერეის მოსაწყობად.

გაზეთებიდან

ნახ. კროტკოვისა




რუსეთისკენ წამოვიდა
პეიზაჟის სურდა ხატვა,
ხელში ჰქონდა მხატვრის ფუნჯი
და გულში კი — ქურდის ზრახვა.



აი, ხატავს, ამ ჩინებულ
ქვეყანას და მის სიმდიდრეს —
ერთი ყაჩაღის საწილის
მაინც თვითონ დაიმკვიდრებს.




შემდეგ „მხატვრულ" ოცნებაში
მოსკოვშიც კი გაჩნდა სწორად,
და სამხატვრო მუზეუმის
წამოსკუპდა დირექტორად.




მაგრამ მისთვის სინამდვილემ
სხვა „მხატვრობა" გაამზადა
და მოსკოვში, აი, ისე
შეიყვანეს არამზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალარ დაუტოვეს

ნახ. ე. მაყაშვილისა

გერმანელი ტყვეები აცხადებენ, რომ მათ ასეულში და ოცეულში ჯარისკაცთა რიცხვი არ აღემატება 20, 10, 4 და ზოგჯერ ოცეულში 2 კაცს. (გაზეთებიდან)



— რამ მოაწყინა ფრიცი? განა ეწყინა, რომ იგი ოცეულის მეთაურად დანიშნეს?
— დანიშნეს, მაგრამ ოცეულში ორი კაცის მეტი ალარ დაუტოვეს წითელარმიელებმა.

## პაპაკი

ნახ. კუკრინიკსებისა

9 იანვრიდან, 22-დე, ჩრდილოეთ-დასავლეთისა და კალინინის ფრონტებზე გერმანელებმა დაჰკარგეს 17.000-ზე მეტი კაცი.

16 იანვრიდან 25-დე, დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა დაჰკარგეს 12.000-ზე მეტი კაცი. (საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებიდან)




— ვბედავ მოგახსენოთ, რომ ფრონტის ხაზი გასწორებულია...




ეშმაკი არც ისე საშიშია, როგორც გვიხატავენ...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთ ბედქვეშ მყოფნი

ნახ. ლონისა

„საფრანგეთში სასურსათო მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა. არც პირუტყვის საკვები იშოვება. მეეტლეებს მგზავრები აღმართში არ დაჰყავთ, რადგან ცხენები ცუდი კვების გამო დაუძლურებულია“.

გაზეთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მოდი, მიშელ, მოაწექი ამ ეტლს.

— სად მაქვს მაგის ძალა, უჭმელობის გამო მაგ ცხენზე უფრო დაუძლურებული ვარ.

## ფაშისტური განცხადებები

**გამოცდილი** ხირომანტი ქალი
გამოიცნობს:
წარსულს,
აწმყოს
და მომავალს,
იმ პირთა, რომელნიც გერმანიიდან მიემგზავრებიან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.
მომავალს აცნობებს დაუსწრებლად.

---

**ქურთუკების,**
ქეჩის თბილ წაღების
და თბილი საცვლების
ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰიტლერის სიტყვა სახელწოდებით:
**„გერმანელებო, თქვენ ჩემთან დაგცხებათ!“**
მოითხოვეთ ყველა კიოსკებში და წიგნის მაღაზიებში.

---

**დიდი** სტაჟის მქონე,
**ძველი ჯალათი**
ეძებს გერმანიის ჯარის გენერლის ადგილს მხოლოდ იმ პირობით, რომ არ გაიგზავნოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

განცხადებები შეკრიბა, გადმოთარგმნა გერმანულიდან და მიაწოდა „ნიანგის“ რედაქციას

**ლ. ლაგინმა**

## კითხვა-პასუხები

### კითხვა

გერმანულ სოფელ ფუიდორფიდან ჰიტლერელებმა ჯარში გაიწვიეს სამი ფაშისტი ეფრეიტორი. დასავლეთის ფრონტზე ბელგიისა და საფრანგეთის ბკლების დროს მათ მიიღეს თითო ჯვარი; სამხრეთისკენ — ბალკანეთის სახელმწიფოებზე ლაშქრობის შემდეგ მათ მიიღეს კიდევ ორ-ორი ჯვარი. ამის შემდეგ ისინი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოიყვანეს.

რამდენი ჯვარი მიიღო თითოეულმა ფუიდორფელმა ეფრეიტორმა საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრების შემდეგ?

### პასუხი

თითო ჯვარი, საფლავის ქვის შესაცვლელად.

### კითხვა

ექსპრესის სისწრაფე საათში უდრის 80 კილომეტრს, ჩვეულებრივი მატარებლის სისწრაფე დიდ გადასარბენზე, ნიშანსვეტის გამოჩენამდე უდრის 50 კილომეტრს, ნიშანსვეტის გამოჩენის შემდეგ კი 30-ს.

რას უდრის ფრონტიდან გაქცეული ფაშისტი ჯარისკაცის სისწრაფე?

### პასუხი

ფრონტიდან გაქცეული ფაშისტი ჯარისკაცის სისწრაფე წითელარმიელის გამოჩენის შემდეგ უდრის ექსპრესის სისწრაფეს გამრავლებულს ორჯერ.

### კითხვა

გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ ყირიმის ერთერთ უბანში A პუნქტიდან B პუნქტისაკენ გაემართა სამხედრო საჭურველით დატვირთული ფაშისტების მატარებელი. მატარებელმა უნდა გაიაროს C პუნქტიც, რომელიც A და B პუნქტებს შორის მდებარეობს.

გამოსარკვევია — როდის მივა B პუნქტში ფაშისტების მატარებელი, რომლის სისწრაფე საათში 30 კილომეტრია და რომელსაც A პუნქტიდან B პუნქტამდე 70 კილომეტრი აქვს გასავლელი.

### პასუხი

ვერასოდეს, რადგან C პუნქტში პარტიზანები არიან დაბანაკებულნი.

**დემონი**

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ყორესის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 21/II. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, გამომც. № 8. შეკვეთა № 257. უე 1279. ტირაჟი 15.000.

# ახალი ფაშისტური ჰიმნი

„ჩვენ გვინდა დავუბრუნოთ შიშველ ფეხს მისი შესაფერი ადგილი. დაე ადამიანებმა ხელახლა განიცადონ [illegible] სიხარული, რასაც მასში შიშველი ფეხით სიარული იწვევდა. ძირს ფეხსაცმელი! გაუმარჯოს მოზარდ ტერფს!"

(ჰიმლერის მოწოდებიდან)

ნახ. მ. გადბოლსკისა



### ჰიმლერის არია

— ჩვენ არ გვინდა ვზარდოთ მარტო
მოქალაქის ყურები,

გაუმარჯოს მოზარდ ტერფებს
და გაზზეკილ ცერებს,

ტყავეულსაც დაგვიზოგავს,
თან აამებს მასებს

ტყვია ყველას, ჩვენს პროგრამას
ვინაც შეაფერხებს,